საქართველო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

ბრძანება:ბ29. 29233404

თარიღი:06/12/2023

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საქმისწარმოების საკითხებში) თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტისა და საჯარო სამსახურის შესახებ"საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად **ვბრძანებ:**

მუხლი 1. დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საქმისწარმოების საკითხებში) თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი. წერეთლის ქ. №7) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM

დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საქმისწარმოების საკითხებში) თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

მუხლი 1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (საქმისწარმოების საკითხებში) თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- ევროპული ქარტია ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ";
- საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";
- საქართველოს კანონი ,,საჯარო სამსახურის შესახებ";
- საქრთველოს კანონი ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი";
- ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N 7 დადგენილება;
- ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2018 წლის 5 მარტის N23 დადგენილება;
- თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის დებულება;

2. სასურველი უნარ-ჩვევები:

- ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- ანალიტიკური აზროვნების უნარი;
- დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
- გუნდური მუშაობის უნარი;
- დროის ეფექტიანი მართვა;
- საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;

მუხლი 2. დანართის პირველი მუხლით გათვალიწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად კანდიდატს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება(ბაკალავრი);
ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში მუშაობის არანაკლებ 1(ერთი) წლის გამოცდილება;
გ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Offisse Word, Microsoft Offisse Excel) კარგ დონეზე ცოდნა.

საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი